პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

13 სექტემბერი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 215 (15732)



300.000 ტონა უურძელისათვის

საადრეო ჯიშის უურძენი დამწიფდა ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (გუდაუთის რაიონი), შავიზღვისპირა კურორტებზე დამსვენებლებს გაეგზავნა პირველი 600 ცენტნერი. სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 2.250 ტონა უურძენი, რაც გეგმაზე 250 ტონით მეტი იქნება. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოლებული 400 ტონა უურძენი მიიტანონ სახელმწიფო მარანში. დასასვენებელ სახლებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს უურძენი უშუალოდ მოკრეფისთანავე — ვენახებიდან ეგზავნებათ. ამ სურათზე აღბეჭდილია კოლმეურნე ა. მაისურაძე (მარცხნივ), რომელიც უურძენს აბარებს კურორტვაჭრობის მაღაზიის გამყიდველს ლ. ბიგვავას.

ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ სტანკო ტოდოროვს

ქ. სოფია.

ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ!

ძვირფასო ამხანაგო ტოდოროვ!

დიდი მდელვარებით შევხვდი ცნობას, რომ მომენიჭა სოციალისტური ბულგარეთის სახელმწიფოს უმაღლესი წოდება — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება, აგრეთვე უაღრესად გულთბილ, ძმურ მისალმებას, რომელიც გამომიგზავნეს ამის გამო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ. გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგებო და ძმებო, მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა საპატიო ჯილდოსათვის. იგი მიმაჩნია კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსის მაღალ შეფასებად და მხარდაჭერად, მშვიდობისმოყვარული სოციალისტური საგარეო პოლიტიკის მაღალ შეფასებად და მხარდაჭერად, რომელსაც ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებენ, დიდი ლენინის ანდერძის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მოწონებული მშვიდობის პროგრამის საფუძველზე. ეს საპატიო ჯილდო მიმაჩნია კიდევ ერთ გროგლად, რომელიც ადუღაბებს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევ მეგობრობას, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ესოდენ მახლობელს, მეგობრობას, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენი მამა-პაპებისაგან და რომელიც ახალი, უმაგალითო ძალით გაიფურჩქნა სოციალიზმის მზის ქვეშ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით აღგითქვამთ, ამხანაგებო, რომ ლენინის პარტია და გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა თავისი სოციალისტური ძმებისა და მოკავშირეების მხარდამხარ, მსოფლიოს პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების სოლიდარობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით მთელი ენერგიით, თანმიმდევრულად და განუხრელად გაგრძელებს ბრძოლას სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის, ყველა ხალხის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის, მშვიდობის, გონებისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის საერთაშორისო ურთიერთობაში. ჩემი მხრივ მინდა გითხრათ, ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლებო, რომ მთელ ძალღონეს მოვახმარ ამ დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

დაე დღითიდღე ღრმავდებოდეს და სულ უფრო იფურჩქნებოდეს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობა!

დაე მუდამ ფოლადივით მტკიცე და მზის სინათლესავით ცხოველმყოფელი იყოს საბჭოთა და ბულგარელი კომუნისტების საბრძოლო კავშირი!

სულითა და გულით ვუსურვებ მომძე ბულგარელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში გიორგი დიმიტროვის სახელოვანი პარტიის წინამძღოლობით.

მხურვალედ გიკრავთ გულში, ძვირფასო ამხანაგებო.

კომუნისტური სალმით

ლ. ბრეჟნევი

1973 წლის 11 სექტემბერი.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მუჰამედ ნაიმი

საკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 11 სექტემბერს ყირიმში მიიღო მუჰამედ ნაიმი, ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის სპეციალური წარმომადგენელი.

საუბარს დაესწრნენ ავღანეთის მხრივ — ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხ. ვ. აბდულა, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. მინინი.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული ლიტვურ ენაზე

ვილნიუსში, 11 სექტემბერი. (საკდისი). ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული „პარტიული მშენებლობის აქტუალური პრობლემების შესახებ“ ლიტვურ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „მინტისმა“ („აზრი“). კრებულში შესულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები და სტატიები, რომლებიც მოიცავენ 1964-1972 წლების პერიოდს.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **რამაზანოვას** იაილაგიულ ბაირამ ყზის — მუშას, ბოლნისის რაიონი.
2. **ხატინს მაჰმუდ ყზის** — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წლის 4 სექტემბერი.

ვიზიტი დამთავრდა

კიევი. 10 სექტემბერი. (საკდისი). დღეს უკრაინის დედაქალაქიდან ლონდონს გაემგზავრა ედინბურგის ჰერცოგი პრინცი ფილიპი, რომელიც საბჭოთა კავშირში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, როგორც საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სტუმარი. იგი დაესწრო ევროპის ჩემპიონატის ცხენოსნურ სამჭიდში, რომელიც კიევში მიმდინარეობდა.

ჰერცოგთან ერთად სამშობლოში გაემგზავრა პრინცესა ანა, რომელიც მონაწილეობდა კონტინენტის უძლიერეს ცხენოსანთა ტურნირში.

გამცილებელთა შორის იყო დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერ ჯონ კილიკი.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲛᲔᲠᲥᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲞᲚᲔᲥᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ — ᲕᲚᲝᲛᲐᲡ ᲞᲚᲔᲥᲜᲘᲡᲢᲘ!

თბილისი. მთავარბილმშენის № 14 ტრესტი (მმართველი ვ. კვეჭიძე) ერთ-ერთი დიდი სამშენებლო ორგანიზაციაა, ვალდებულების შესასრულებლად სამშენებლო სამმართველოებს, ბრიგადებსა და ცალკეულ მშენებლებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაიზარდა ინჟარით მომუშავე იმ ბრიგადების რაოდენობა, რომლებიც 9-სართულიანი სახლის მშენებლობას სამშენებლო ნორმებთან შედარებით 2-2,5 თვით აჩქარებენ და აუმჯობესებენ მშენებლობის ხარისხს. სამშენებლო სამმართველოებმა უფრო კონკურენციულად მოაწყეს შრომა, ფართოდ ნერგავენ მშენებლობის მოწინავე მეთოდებს.

ყოველივე ამის შედეგად ტრესტის კოლექტივმა 8 თვეში 21 მილიონ 631 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა, გეგმა კი 20 მილიონ 700 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა. ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ უნდა ჩაბარებინათ 166.300 კვადრატული მეტრი სახლთმფარველი ფართობი, ფაქტიურად ჩააბარეს 201.400 მეტრი ფართობი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს № 3 და № 7 სამშენებლო სამმართველოებმა (უფროსები ტ. ცინცაძე და ნ. ხარაბაძე). ამ შრომითმა კოლექტივებმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მოიპოვეს.

ტრესტის სამშენებლო კოლექტივები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმით გათვალისწინებული 247.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი შვიდი ნოემბრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ და შექმნან ყველა პირობა ახალ წელს მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

ბარდაბნის რაიონის სოფლის მშრომელებმა, რომლებიც არიან ჩაბმული შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, 11 სექტემბრისათვის გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმა. 3.500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 3.850 ტონა ხილი.

შესრულებულია სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმაც: ნაცვლად 900 ტონისა, მიყიდულია 964 ტონა.

წარმატებით შესრულეს გარდაბნელებმა აგრეთვე ლობიოს მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. სახელმწიფოს მიეყიდა 20 ტონაზე მეტი ეს პროდუქტი.

სახელმწიფოსათვის ხილის, კარტოფილისა და ლობიოს მიყიდვა გრძელდება.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე სახელმწიფოს, მიეყიდონ 800 ტონა ზეგზამთრის კაურკოვანი ხილი.

(საქინფორმი).

2.487 ᲥᲝᲗᲐᲡᲘ ᲥᲘᲚᲐ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ

საჩხერე. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომითს წარმატებებს აღწევს საჩხერის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. მან ვადამდე შეასრულა ივლის-აგვისტოს დავალება და 23 აგვისტოსათვის გამოუშვა 2.487 ათასი პირობითი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი. ქარხნის კოლექტივი მომხმარებელს ყოველდღიურად 50 ათას ქილა კონსერვს, კომპოტს უგზავნის.

საჩხერელი მეკონსერვეები წელს სამშობლოს მისცემენ 5,5 მილიონ ქილა კონსერვს.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲗ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

მეცხოველეობა დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. აქაურ კოლმეურნეობებში სარძო მეცხოველეობის ბევრი მცოდნეა. განსაკუთრებით განვითარებულია აქ მეცხვარეობა. დუშელი მწყემსები თავიანთი საქმის დიდი ოსტატები არიან. თაობადან თაობას გადასცემენ ისინი ცხვრის მოვლის უძველეს გამოცდილებას, აღწევენ პირუტყვის მაღალ მატებასა და პროდუქტიულობას.

რაიონში ფართო გაქანება მიეცა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის. რაიონის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და წარმატებით ასრულებენ მათ. რაიონი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ახალგაზრდა კომუნისტების ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. ამ მოვლენას მიეძღვნა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა კრება. 12 სექტემბერს დუშეთის კულტურის სახლში შეიკრიბნენ საუკეთესო მწველები, მწყემსები, საკვებმომზადებლები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კრება გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შალვაშვილმა.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბიბიბერია. მან გულთბილად მიულოცა რაიონის მეცხოველეებსა და მათი სახით ყველა მშრომელს მთავრობის მაღალი ჯილდო. ამბ. ბიბიბერიამ მეცხოველეებს. მეშინდერეებს. მეკანიზატორებს. ყველას, ვინც ქვეყნის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის შრომობს, უსურვა კიდევ უფრო დიდი წარმატებანი პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებაში.

ამბ. გიგიბერიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა გადასცა რაიონის ხელმძღვანელებს და მოწინავე მეცხოველეთა ჯგუფს.

კრების მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალული იყო მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის პარტიისა და მთავრობისადმი. უდიდესი მადლიერების გრძნობით, მისწრაფებით მიაღწიონ ახალ მიჯნებს მეცხოველეობის განვითარებაში, განუფრთხილად შეასრულონ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის გადაწყვეტილებანი. აღინიშნა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონმა სანაკვლო წარმატებებს მიაღწია. 1972 წლის მეოთხე კვარტალსა და 1973 წლის პირველ ნახევარში რაიონმა 1971 და 1972 წლების ამავე პერიოდებთან შედარებით ხორცის წარმოება გაადიდა 721 ცენტნერით, რძისა — 2.530 ცენტნერით, მატყლისა — 287 ცენტნერით, კვერცხისა — 248 ათასი ცალით. 33 პროცენტით ჯანსაღად ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა და 14 პროცენტით — რძის მიყიდვა. მნიშვნელოვნად გაიდიდა პირუტყვის სულადობა.

წარმატებათა მიღწევაში გამოირჩევიან სოფლების მლეთისა და გუდამაყრის კოლმეურნეობები, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბერმა მწველავმა და მწყემსმა. სოფელ მლეთის კოლმეურნეობაში პატივს სცემენ შეჯიბრების გამარჯვებულ მწყემსს თ. ნაზლაძეს. პირუტყვის სათუთი მოვლით მან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია რაიონში: ყოველ ას ნირბზე მიიღო და შეინარჩუნა 103 ბატკანი, გეგმის გადაჭარბებით ჩააბარა ბეერი მატყლი. გუდამაყრელი მეცხვარეები, რომელთა შორის შრომობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ფიცლაური და მისი ძმა, ლენინის ორდენოსანი გ. ფიცლაური, საუკეთესოთა საუკეთესოთა რიგებში გამოვიდნენ. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია აღნიშნავს მთელ რიგ მეცხვარეთა თავდადებულ მუშაობას. მათ შორის არიან სოფელ მაჭარტის კოლმეურნეობის წევრი შ. აფციაური, სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის წევრი ნ. ბარათაშვილი, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის წევრი გ. ჭიკაძე. თავი გამოიჩინეს სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის მწველავებმა ს. კირკვალიძემ, მ. გვრიტიშვილმა და სხვებმა.

კრებაზე გამოვიდნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სოფელ მლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ნაზზაროვმა, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. ჯაბიშვილმა, სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის მეცხოველეთა ბრიგადირმა ო. ბიბილაშვილმა სოფელ მთიულეთის კოლმეურნეობის მწველავმა ნ. არგანაშვილმა, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის მწყემსმა ო. კეფელაშვილმა.

რაიონის მშრომელებს მთავრობის დიდი ჯილდო მიულოცავს განათლების რაიონული განყოფილების გამგემ ნ. კარიანელმა, ინალოის ბიფროკომბინატის მმენებლობის უფროსმა ბ. ჭყონინამ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ველოსაშვილმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ბ. ბიბიბერიამ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფოთებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც მადლობას უძღვნიან სოფლის მშრომელთა მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ყველანი განსათარონ სოციალისტური შეჯიბრება, სანინუშოდ გამოაზამთრონ პირუტყვი, პირნათლად შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებანი.

(საქინფორმი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲭᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ᲔᲒᲖᲐᲥᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

უკანასკნელი წლების მკაცრმა ზამთარმა დიდად დააზიანა ალგეთის ვენახებიც. მაგრამ ადამიანის ხელმა, მისმა შრომამ და გარჯამ მდგომარეობა გამოასწორა. დადგა ბარაქიანი შემოდგომა.

349 ჰექტარზეა გადაჭიმული მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მსხმოიარე ვენახი. აქ ხარობს რთველიც საოცრეო, ისე საგვინო ჯიშები: შასლა, თავრიზი, ბოლგარული რქაწითელი. ალგეთელებმა ტრადიციულად რთველი სუფრის ჯიშების კრეფით დაიწყეს და თბილისსა და რუსთავის მშრომელებს უკვე გაუგზავნეს ალგეთური შასლა და თავრიზი. წინათ ეს ჯიშები ერთდროულად შემოდიოდა, წელს კი ერთი კვირით დაასწრო შასლამ. იგი 30 ტონის რაოდენობით უკვე გაიყიდა მაღაზიებში. აქ თავრიზის კრეფასაც შეუდგნენ.

— უყრძნის მოსავლის აღებისათვის მზაღების საკითხი სპეციალურად განვიხილეთ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, — ამბობს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ქ. კარაევი. ამ საკითხს მივუძღვენით მევენახეთა საწარმოო თათბირიც, განვახორციელეთ ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა მოსავლიერი არ დარჩეს არც ერთი მტევანი. მიუხედავად ვენახების ძლიერ დაზიანებისა, ვვარაუდობთ, რომ წელს მეურნეობა სახელმწიფოს 1200 ტონა უყრძენს მიჰყიდის. ცხადია, ეს ნაკლებია შარშანწინდელ მოსავალზე. მაგრამ რა უნდა ექნათ. კიდევ ჩვენს სახელოვან მევენახეებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ არც ძალა, არც ენერგია და არც ცოდნა არ დაიშურეს ვენახების აღსადგენად.

მესამე აგროუბნის უფროსს ო. დემეტრაშვილს ეგრეთწოდებულ „ლიტერბ“ ნაკვეთში გავეცანით.

ვენახები ნამდვილად კარგად არის მოვლილი. ნახს აქ აგროვადებში ჩიუტარებიათ ვაზის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, კარგად მომზადებულან რთველისათვის, დროულად გადაეწყვეტათ ისეთი საკითხები, როგორიც არის ტრანსპორტით, ჭურჭლით, გზებით უზრუნველყოფა, აღრიცხვა და სხვ. უბნის უფროსი სიტყვას იძლევა, რომ საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე 50-60 ცენტნერამდე აიყვანენ.

მეურნეობის ხელმძღვანელები მოწინავეებად ასახელებენ ავრეთვე ია უბენებს, რომლებსაც ა. წულუკიძე, ჯ. ქერამოვი და შ. ხორცილაძე ხელმძღვანელობენ. ოდემეტრაშვილის მსგავსად მათაც ვენახში მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი აქვთ.

მრავალი წელია მუშაობენ და კოლექტივის საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ბრიგადირებმა ი. ყველაშვილმა და ს. საკაშვილმა. ყურძნის უზარმოსავლის მიღებისათვის პირველს ლენინის ორდენი. ხოლო მეორეს — შრომის წითელი დროშის ორდენი უშშვენებს მკერდს.

...რთველი აქვთ ალგეთელ მევენახეებს. იაოფება და მშრომელთა სუფრის დასამშვენებლად იგზავნება ოქროსფერი მტევნები. ბარაქალა თქვენს შრომას, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებო!

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲔᲠᲥᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲣᲠᲗᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲒᲕᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲡ, ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲔᲑᲝ!

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲗ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

მეცხოველეობა დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. აქაურ კოლმეურნეობებში სარძო მეცხოველეობის ბევრი მცოდნეა. განსაკუთრებით განვითარებულია აქ მეცხვარეობა. დუშელი მწყემსები თავიანთი საქმის დიდი ოსტატები არიან. თაობადან თაობას გადასცემენ ისინი ცხვრის მოვლის უძველეს გამოცდილებას, აღწევენ პირუტყვის მაღალ მატებასა და პროდუქტიულობას.

რაიონში ფართო გაქანება მიეცა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის. რაიონის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და წარმატებით ასრულებენ მათ. რაიონი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. ამ მოვლენას მიეძღვნა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა კრება. 12 სექტემბერს დუშეთის კულტურის სახლში შეიკრიბნენ საუკეთესო მწველები, მწყემსები, საკვებმომზადებლები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კრება გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შალვაშვილმა.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბიბიბერია. მან გულთბილად მიულოცა რაიონის მეცხოველეებსა და მათი სახით ყველა მშრომელს მთავრობის მაღალი ჯილდო. ამბ. ბიბიბერიამ მეცხოველეებს. მეშინდერეებს. მეკანიზატორებს. ყველას, ვინც ქვეყნის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის შრომობს, უსურვა კიდევ უფრო დიდი წარმატებანი პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებაში.

ამბ. გიგიბერიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა გადასცა რაიონის ხელმძღვანელებს და მოწინავე მეცხოველეთა ჯგუფს.

კრების მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალული იყო მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის პარტიისა და მთავრობისადმი. უდიდესი მადლიერების გრძნობით, მისწრაფებით მიაღწიონ ახალ მიჯნებს მეცხოველეობის განვითარებაში, განუფრთხილად შეასრულონ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის გადაწყვეტილებანი. აღინიშნა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონმა სანაკვლო წარმატებებს მიაღწია. 1972 წლის მეოთხე კვარტალსა და 1973 წლის პირველ ნახევარში რაიონმა 1971 და 1972 წლების ამავე პერიოდებთან შედარებით ხორცის წარმოება გაადიდა 721 ცენტნერით, რძისა — 2.530 ცენტნერით, მატყლისა — 287 ცენტნერით, კვერცხისა — 248 ათასი ცალით. 33 პროცენტით ჯანსაღად ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა და 14 პროცენტით — რძის მიყიდვა. მნიშვნელოვნად გაიდიდა პირუტყვის სულადობა.

წარმატებათა მიღწევაში გამოირჩევიან სოფლების მლეთისა და გუდამაყრის კოლმეურნეობები, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბერმა მწველავმა და მწყემსმა. სოფელ მლეთის კოლმეურნეობაში პატივს სცემენ შეჯიბრების გამარჯვებულ მწყემსს თ. ნაზლაძეს. პირუტყვის სათუთი მოვლით მან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია რაიონში: ყოველ ას ნირბზე მიიღო და შეინარჩუნა 103 ბატკანი, გეგმის გადაჭარბებით ჩააბარა ბეერი მატყლი. გუდამაყრელი მეცხვარეები, რომელთა შორის შრომობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ფიცლაური და მისი ძმა, ლენინის ორდენოსანი გ. ფიცლაური, საუკეთესოთა საუკეთესოთა რიგებში გამოვიდნენ. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია აღნიშნავს მთელ რიგ მეცხვარეთა თავდადებულ მუშაობას. მათ შორის არიან სოფელ მაჭარტის კოლმეურნეობის წევრი შ. აფციაური, სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის წევრი ნ. ბარათაშვილი, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის წევრი გ. ჭიკაძე. თავი გამოიჩინეს სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის მწველავებმა ს. კირკვალიძემ, მ. გვრიტიშვილმა და სხვებმა.

კრებაზე გამოვიდნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სოფელ მლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ნაზზაროვმა, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. ჯაბიშვილმა, სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის მეცხოველეთა ბრიგადირმა ო. ბიბილაშვილმა სოფელ მთიულეთის კოლმეურნეობის მწველავმა ნ. არგანაშვილმა, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის მწყემსმა ო. კეფელაშვილმა.

რაიონის მშრომელებს მთავრობის დიდი ჯილდო მიულოცავს განათლების რაიონული განყოფილების გამგემ ნ. კარიანელმა, ინალოის ბიფროკომბინატის მმენებლობის უფროსმა ბ. ჭყონინამ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ველოსაშვილმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ბ. ბიბიბერიამ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფოთებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც მადლობას უძღვნიან სოფლის მშრომელთა მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ყველანი განსათარონ სოციალისტური შეჯიბრება, სანინუშოდ გამოაზამთრონ პირუტყვი, პირნათლად შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებანი.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲠᲥᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲣᲠᲗᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲒᲕ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X კლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

აპრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა

გორის რაიონის მშრომელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ქომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თანმიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები, რაც მთლიანად გამიზნულია საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამიტომაც სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ფართოდ გაჩაღებულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული ორგანიზაციები მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის „უნარიანად რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს. განუმარტავენ მაო პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლეს მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკისა და მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების განხორციელებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის მოშუბობა გაშლილი. ამ მიზნს ემსახურებოდა **გორის რაიონის მშრომელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. რომელიც** ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის კოლეგიანთელების რესპუბლიკურმა სასლმა, **პარტიის გორის რაიკომმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყვეს.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა აქტივმა. მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემის პროპაგანდისტებმა, მასმენელებმა. კონფერენციის მუშაობის თემა იყო — „**საასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა**“.

კონფერენცია, რომელსაც ოთხასამდე კაცი ესწრებოდა. შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის გორის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პაპიაშვილმა.

გორის რაიონის მშრომელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ერთგვარი ანალიზი იყო რაიონის მშრომელთა მიერ გაწეული მუშაობისა. ამავე დროს დაისახა ახალი გზები და შრომის მეთოდები მეცხრე ხუთწლედში ახალ წარმატებათა მისაღწევად.

საასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, მისი მაჩვენებლები და ამაღლების გზები

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ რ. კვირკველიას მოხსენებიდან

სკკპ XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის პროგრამით გათვალისწინებულ კრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო რესურსების მხრივ „მთავარი, რისი იმედიც უნდა ვიქონიოთ, ეს არის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება“.

როცა საზოგადოებრივი წარმოების, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას ვეხებით, საქმე გვაქვს ტექნიკურ და ეკონომიურ ეფექტიანობასთან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ტექნიკურ ეფექტიანობად იგულისხმება. მაგალითად, საშიალო მოსავლიანობა და სიერთო მოსავლის ამაღლება, საშუალოდ ერთ ძირხაზზე წელიდამდის და მოწვილილი რძის საერთო რაოდენობის მატება, სადღეღამისო წონამატისა და ხორცის წარმოების საერთო ოდენობის ზრდადება. მაგრამ სოციალისტური საზოგადოებისათვის სულ ერთი არ არის, თუ შრომისა და მატერიალურ თანხიერობა რეგორი ინანახარჯების თანაა არის მოწვილი ბროდუქციის მოცულობის ზრდადება ანე ტექნიკური ეფექტიანობა. საზოგადოება დაინტერესებულია რაც შეიძლება უმცირესი დანახარჯებით მოწვეულ იქნას მეტი პროდუქციის მიღება. ამაში გამოიხატება წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება თვითმიზანი არ ხდება. იგი ყოველდღიურ ზრუნვისა და მაღალ ორგანიზებას. მართვისა და ხელმძღვანელობის მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმიანობისა და შედეგების ეკონომიური შეფასებისათვის მთელი რიგი მაჩვენებლები არსებობს, რომელთაგან უმთავრესია და პრაქტიკაში ფართოდ არის გამოყენებული სამი ძირითადი მაჩვენებელი. ესენია: **პროდუქციის თვითღირებულება, შრომის ნაყოფიერება და რენტაბელობა.**

ეკონომიური ეფექტიანობის ეს სამი მაჩვენებელი მჭიდრო კავშირშია ტექნიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებთან. მაგალითად, რაც უფრო მაღალია საშუალო მოსავლიანობა, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება. დაბალია პროდუქციის თვითღირებულება და მაღალია რენტაბელობის დონე.

მეცხოველეობაში, რაც უფრო მაღალია წველადობა და საადგილმამლო წონამატი, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეკრდენი ბროდუქციის თვითღირებულება და მატულობს რენტაბელობა.

ბროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მთავარი პირობა მემცენარეობაში მაღალი მოსავლიანობის, ხოლო მეცხოველეობაში — პროდუქტიულობის მაღალი დონის, ანუ მაღალი ტექნიკური ეფექტიანობის მიღწევა. ამასთან ერთად ბროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის თადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ საშუალებებსა და შრომის დანახარჯებში ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელებას, სამუშაოების დაწესებულ ვადებში და მაღალი ხარისხით შესრულებას.

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების დადგენა შედეგანიერად ხდება. როდესაც ერთი სახეობის ბროდუქციასთან გვაქვს საქმე, ადგენენ ერთ ცენტნერ ბროდუქციაზე დახარჯული შრომის ადამიანურ-დღეებში ან კაცსაათებში და პირიქით დახარჯული შრომის ერთეულზე — ერთ კაცდღეზე ან ერთ კაცსაათზე მიღებული ბროდუქციის ოდენობას (ცენტნერებით ან კილოგრამებით). როდესაც შრომის ნაყოფიერების დონეს მთელი მეურნეობის მასშტაბით შეიფასებთ და საქმე გვაქვს მრავალი სახის ბროდუქციის გამოშვებასთან, მისი დონის განსაზღვრისათვის იყენებენ ერთ საშუალო წელიერ მუშაზე ან ერთ კაცდღესა და ერთ კაცსაათში შექმნილი საერთო ბროდუქციის ღირებულებას მანეთობით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოო ფონდების მაღალნაყოფიერად გამოყენებას, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ბნაოზის დროს უნდა დადგინდეს ამ ფონდებით აღჭურვისა და შრომის შეიარაღების დონე. ძირითადი ფონდები აღჭურვის დონე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საიარაღზე მათი ღირებულებით გამოხატება. შრომის შეიარაღების დონეს კი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოხატავს ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო ღირებულება ერთ საშუალო წლიურ მუშაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას დიდად უწყობს ხელს მშრომელთა ფართო მასების ეკონომიურ სწავლებაში ჩაბმა, ეკონომიური ცოდნით შეიარაღებული ადამიანი აქტიური მებრძოლია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება „გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებას მოითხოვს. ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ასამოქმედებელი რეზერვების დიდი მარაგია.

ამის უტყუარი დამადასტურებელია ერთ და იმავე პირობებში მეზობლად მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის დიდი განსხვავებული ეკონომიური შედეგები. მეჯვრისხევის საასოფლო საბჭოში ორი კოლმეურნეობაა — მეჯვრისხევისა და ზერტისა. 1972 წლის საბუღალტრო წლიური ანგარიშების მიხედვით ცენტნერი თესლოვანი ხილის თვითღირებულებამ მეჯვრისხევში 19,3 მანეთი შეადგინა, ზერტში კი 13.4 მანეთი. ხილის წარმოებისა და რეალიზაციის რენტაბელობის დონემ შესაბამისად 14.2 და 78.0 პროცენტი. ასევე, ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეულის თვითღირებულებამ მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში შეადგინა 10.3 მანეთი, ზერტის კოლმეურნეობაში კი 7.5 მანეთი. ხოლო სიმინდის მარცვლის თვითღირებულებამ საწინააღმდეგო სურათი მოგვცა. ცენტნერი სიმინდის თვითღირებულებამ პირველ კოლმეურნეობაში 10.8 მანეთი შეადგინა, მეორეში კი 14.5 მანეთი.

ავიღოთ თუნდაც მეორე — ტყვიავისა და ფლავის კოლმეურნეობების მაგალითი. ესენი მეზობელი კოლმეურნეობები არიან. მათ ნაყოფებს ზოგან მხოლოდ საკალფიეხო ბილიკი ეყოფს, მაგრამ პირველ კოლმეურნეობაში ცენტნერი კორკოვანი ხილის თვითღირებულება 14,1 მანეთია, მეორეში კი 6,5 მანეთი. დიდი განსხვავებაა ადრეთვე სიმინდის მარცვლის თვითღირებულებაში. ტყვიავის კოლმეურნეობაში ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 11,7 მანეთია, ფლავის კოლმეურნეობაში კი 8,6 მანეთი. ხოლო ბოსტნეული სანი მარცვლეული კულტურები პირველს დაუჯდა 81,2 მეორეს კი 36,7 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ზარალიანობის შედეგად 1972 სამეურნეო წელს ქართლეთის საბჭოთა მეურნეობამ საერთო მოგების თანხა შეამცირა 36.4 ათასი მანეთით. შინდისის საბჭოთა მეურნეობამ — 14,4 ათასი მანეთით, ბარეანის საბჭოთა მეურნეობამ კი — 38,4 ათასი მანეთით.

როგორც ვხედავთ, გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის „გასაკეთებელი ძალზე ბევრი აქვთ, საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მესაეურეობამ, რაიონის ხელმძღვანელობამ, აქტივმა მტკიცედ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების ის ნაწილის განხორციელებისათვის, სადაც აღნიშნულია საასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები.

მეცხრე ხუთწლედი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხუთწლედია.

ახლანდელ ეტაპზე საასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაწყდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, რეზერვების ამოქმედებისა და საწარმოო სიმძლავრეების რაციონალური გამოყენებით. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვით. ამასთან ერთად ფინანსურთანაც უნდა მოგვიკიდოთ სამუშაო დროის თვითეულ წუთს, ყოველ მანქანასა და მექანიზმს, ნედლეულისა და მასალების ხარჯვას. ყოველივე ზემოთ ნათქვამს მტკიცედ უნდა ერწყმოდეს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მკაცრი განმტკიცება. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს იმისათვის, რომ ყოველი დანაშაულებული მანეთი და შრომა მაქსიმალურ ეფექტს იძლეოდეს.

ტექნიკური პროგრესი და წარმოების ინტენსიფიკაცია გორის რაიონის სოფლის მეურნეობაში

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის საამართველოს უფროსის ვ. სუხიშვილის მოხსენებიდან

სოფლის მეურნეობის ინტენსიური წარმოებაში გასაკეთებელია მნიშვნელობა შრომის პროდუქტების მექანიზაციას ენიჭება. ინტენსიური განვითარება ნიშნავს მიწის ფართობზე წარმოების საშუალებათა სისტემატურ გადიდებას, მეურნეობის ეაძლიერის მაგრამ ითხოვებს გაუჯობესებას და დანახარჯთა ერთეულზე გაანგარიშებით პროდუქციის წარმოების ზრდას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკული ბაზის გაფართოებას. ამ მხრივ თანამედროვე მოთხოვნებს ყველაზე მიტად ელექტროენერგიის გამოყენება უპასუხებს. საწარმოებიდან, ჯერჯერობით ჩვენს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიით და ელექტროდანადგარებით მომარაგება, მისი გამოყენება სათანადო დონეზე არ დგას. ელექტროენერგია კი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საფუძველი უნდა გახდეს, განსაკუთრებით კი მეცხოველეობაში.

გორის რაიონში ელექტრიფიკაციის დონე 1965 წლთან შედარებით 1972 წლისათვის გაიზარდა 26 პროცენტით, 1972 წლისათვის სოფლის მეურნეობის ნაზით გამოყენებულია 7.327 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

